ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს სხდომის

ოქმი N 6
23 აპრილი. 2015 წ.

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის დღის წესრიგი:

1. 2015 წლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცება
2. აკრედიტაციისათვის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში ცვლილებებისა და მოდიფიკაციის შესახებ
3. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე მისაღები წესების შესახებ
4. სხვა.

სხდომას ესწრებოდნენ:
დეკანის მოვალეობის შემსრულებელი: პროფ. თ. გაგოშიძე.
ფაკულტეტის საბჭოს წევრები:
<u>ფსიქოლოგიის დეპარტამენტიდან:</u>, ასოც./პროფ.-ები: შ. აბზიანიძე, მ. მელიქიშვილი, ვ. ნადარეიშვილი, ლ. სურმანიძე, ბ. არუთინოვა, თ. აბაშიძე, ა.ქიტიაშვილი, მ. მესტვირიშვილი. გ.გოროშიძე
ასისტ./პროფ.-ები: ე. ფირცხალავა, მ.დესპოტაშვილი,ი.ჟვანია, ხ. მარწყვიშვილი,
შ. მამუკაძე.
<u>განათლების დეპარტამენტიდან:</u> პროფ. ქ. ჭკუასელი,
ასოც./პროფ.-ები: ი. პეტრიაშვილი, ე.ღვინერია
ასისტ./ პროფ. ზ. ქიტიაშვილი.
<u>სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები:</u>
თ.ქაადე, ე.ქურციკიძე, ა.კობაიძე.

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა 22 წევრი.

განიხილეს:

1. 2015 წლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცება

დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინა სამეცნიერო-კვლევითი პროექტების საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ პროექტების სია, და შესთავაზა საბჭოს დასამტკიდებლად.
ფაკულტეტიდან სამეცნიერო საგრანტო კონკურსში, გამოცხადებული წესების შესაბამისად მონაწილეობა მიიღო 8 პროექტმა, აქედან 6 პროექტი წარმოდგენილი იყო ფსიქოლოგიის დეპარტემენტიდან, ხოლო 2 განათლების მეცნიერებათა დეპარტემენტიდან.
შემფასებელი კომისია შედგებოდა უნივერსიტეტის გარედან მოწვეული 5 ექსპერტისგან.
პროექტების შეფასება მოხდა „ბრმა“ წესით.
კომისიამ წარმოდგენილი 8 პროექტიდან შეარჩია 4 პროექტი, საერთო ღირებულებით: 70448.5 ლარი.

1. მასწავლებელთა საუნივერსიტეტო მომზადების ინტეგრირებული 300-კრედიტიანი პროგრამის პედაგოგიური მოდულების (პედ. დისციპლინები, პედ. პრაქტიკა, კვლევითი ნაწილი) შემუშავება / VII – XII კლასების მასწავლებელი/. პროექტის ხელმძღვანელი პროფესორი ქეთევან ჭკუასელი, *14922,5 ლარი.*
2. ემიგრაცია და დაბრუნება სამშობლოში: მიგრანტების რეინტეგრაცია, იდენტობა და ოჯახთან ადაპტაციის პრობლემები. პროექტის ხელმძღვანელი, ასოც./ პროფესორი მაია მესტვირიშვილი, *19 721 ლარი.*
3. პოსტტრავმული ზრდა ბავშვებსა და მოზარდებში: პიროვნული ფაქტორების, ადაპტაციისა და სოციალური მხარდაჭერის როლი. პროექტის ხელმძღვანელი პროფესორი მარინე ჩიტაშვილი, *19305 ლარი.*
4. თვითსტიგმატიზაციის ფენომენი ეპილეფსიის მქონე მოზარდებთან პროექტის ხელმძღვანელი, ასოც./ პროფესორი ლალი სურმანიძე, *16500 ლარი.*

აზრი გამოთქვეს: ე. ღვინერიამ, ლ.სურმანიძე, ლ.არუთინოვმა, ე. ფირცხალავამ, ი.პეტრიაშვილმა, ა.ქიტიაშვილმა, ზ.ქიტიაშვილმა.
ა. ქიტიაშვილმა სთხოვა დეკანატს, მომავლში კონკურსისი გამოცხადებისას, წინასწარ წარმოდგენილ იქნას მონაწილეებისათვის შემუშავებული გზამკვლევი პროექტების შეფასების კრიტერიუმების შესახებ. ი. პეტრიაშვილმა და ლ. არუთინოვმა გამოთქვეს აზრი პროექტების წარდგენის ფორმის გამარტივებასთან დაკავშირებით. ე. ღვინერიამ აღნიშნა, რომ შემდგომსი კომისიის წევრები განათლების მეცნიერებათა სპეციალისტები უნდა იყვნენ და არა განათლების სფეროში მომუშავე მენეჯერები.
ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა შესთავაზა საბჭოს გადაწყვეტილება გამოტანილ იქნეს დასამტკიცებლად.

კენჭი უყარეს:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

<u>დაადგინეს:</u>
მიღებულ იქნას პროექტების შესაფასებელი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ოთხი პროექტის დაფინანსების შესახებ.

2. **აკრედიტაციისათვის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში ცვლილებებისა და მოდიფიკაციის შესახებ**

ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, ასოც.პროფ. მ. მელიქიშვილმა
გააცნო საბჭოს ის სირთულეები, რომელსაც აწყდება ხარისხის მართვის სამსახური პროგრამაში წარმოდგენილ საგნებსა და ელექტრონულად გააქტიურებულ საგნებს შორის შეუსაბამობასთან დაკავშირებით. სთხოვა კოლეგებს მოწესრიგდეს ეს საკითხები აკრედიტაციის პროცესის დაწყებამდე.
ასევე დაისვა საკითხი ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგნების დასახელების ქართული და ინგლისური შესატყვისების მოწესრიგების შესახებ.
აზრი გამოთქვეს : შ. აბზიანიძემ,ზ.ქიტიაშვილმა,ლ. არუთინოვმა. აღინიშნა, რომ ახალი ბაზების ფორმირებამდე და ახალ ელექტრონულ პროგრამაზე გადასვლამდე აუცილებლად უნდა მოწესრიგდეს შეუსაბამობები.

კენჭი უყარეს:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

<u>დაადგინეს:</u>
დაევალოს პროგრამების ხელმძღვანელებს მოაწესრიგონ სილაბუსები, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები და განახლებული ვარიანტი გადაეგზავნოს ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსს 30 მაისამდე.
მოწესრიგდეს საკითხი საგნების დასახელების ქართული და ინგლისური შესატყვისობის შესახებ და გადაეგზავნოს სასწავლო პროცესის სპეციალისტს ნ. საღარაძეს.

3.ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე მისაღები წესების შესახებ

დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ ფაკულეტის საბჭოს გააცნო პრობლემები რომელიც დაკავშირებულია დოქტორანტურაში სწავლების ხარისხის საკითხთან და ყურადღება გაამახვილა დოქტორანტურაში მიღების პირობებზე.
თამარ გაგოშიძემ აღწერა სადოქტორო პროგრამაზე მიღების ფაკულტეტზე არსებული 2 წესი, რომელიც დღეს მოქმედებს ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე:
- სპეციფიკაზე დამოკიდებული - სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მსურველს უნდა ჰქონდეს პროფილის შესაბამისი მაგისტრის ხარისხი და სამოტივაციო წერილი.
- სამოტივაციო წერილი, გასაუბრება- ინტერდისციპლინური პროგრამებისთვის, ეს პროგრამა იღებს სხვადასხვა სპეციალობის ადამიანებს.
დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა შესთავაზა საბჭოს, დეპარტამენტებში სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელებმა იფიქრონ და იმუშაონ ამ საკითხთან დაკავშირებით და შემდეგ სხდომაზე წარმოადგინონ თავიანთი ვარიანტები მსჯელობისათვის.
აზრი გამოთქვეს:
ქ. ჭკუასელმა, შ. აბზიანიძემ, ლ.სურმანიძემ, თ.გაგოშიძემ, ა. ქიტიაშვილმა. პროფ. ქ. ჭკუასელმა აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა მის სადოქტორო პროგრამაზე გამოცდის დაწესება.

შეთავაზებულ იქნა დასახელდეს სადოქტორო პროგრამაზე მიღების წესები, რომლიც არ იქნება წინააღმდეგობაში მინიმალურ სტანდარტთან და პროფესორებს მისცემს დოქტორანიტის მომზადების ხარისხის ამაღლების საშუალებას.

კენჭი უყარეს:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

<u>დადგინეს:</u>
სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელებმა მიღების წინაპირობებში ცვლილების შეტანის შემთხვევაში შემდეგ სხდომაზე წარმოადგინონ თავიანთი პროგრამების წინაპირობები.

4.სხვა:
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. თამარ გაგოშიძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა თსუ-ში კონკურსის ერთიანი წესის ჩატარების N118/2014 დადგენილების შესაბამისად, საარჩევნო კომისიის ბიულეტენის ნიმუში.

კენჭი უყარეს:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

<u>დაადგინეს:</u>
დამტკიცდეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის სამსახურში მისაღები საკონკურსო კომისიის ბიულეტენის ნიმუში.

სხდომის თავმჯდომარე
პროფ. თ. გაგოშიძე